

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №56/04
2017 წლის 27 აპრილი

ქ. თბილისი

„ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის №151/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და 67-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-8 პუნქტის, 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 27-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

მუხლი 1

„ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის №151/04 ბრძანების (www.matsne.gov.ge, 28/12/2016, ს/კ: 220020000.18.011.016210) მე-2 და მე-3 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. 2017 წლის პირველი ივნისიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების გაწევისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 13 მაისის №35/04 ბრძანება.

მუხლი 3. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2017 წლის პირველი ივნისიდან.“.

მუხლი 2

ამ ბრძანების დაუყოვნებლივ ამოქმედება განპირობებულია ფინანსური ორგანიზაციების შეუფერხებლად ფუნქციონირების მიზნით.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2017 წლის 28 აპრილიდან.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

